საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ა. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 150/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ კ. პ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ კ. პ.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 29 ოქტომბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ა. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ კ. პ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და მისთვის გადახდილი მომსახურების საფასურის უკან დაბრუნება. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 12 ნოემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაში მიიღო მონაწილეობა.

1.2 ა. შ.ს განმარტებით, მან ადოკატთან 2017 წლის 03 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება, იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. ადვოკატი დაჰპირდა საჩივრის ავტორს, რომ დაიწყებდა საქმის წარმოებას, რისთვისაც საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა 1000 აშშ დოლარი, მომსახურეობის გაწევის სანაცვლოდ. ა. შ.-მ ადვოკატს ჰონორარი გადასცა ნაღდი

ანგარიშსწორებით, ხოლო ადვოკატმა გადასცა მას თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

1.3 ა. შ.ს განმარტებით, იგი უკმაყოფილოა ადვოკატ კ. პ.-ს მომსახურებით, ვინაიდან, თანხის გადაცემის შემდგომ ადვოკატს არავითარი საპროცესო მოქმედება ა. შ.-ის ინტერესების სასარგებლოდ არ განუხორციელებია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით მან მოსთხოვა ადვოკატს გადაცემული თანხის და საქმის მასალების დაბრუნება, რათა სხვა ადვოკატი აეყვანა. ადვოკატი დაჰპირდა, რომ სექტემბრიდან თავად დაიწყებდა საქმის წარმოებას. მიუხედავად ამისა, ადვოკატს არც ამის შემდეგ განუხორციელებია რაიმე მოქმედება ა. შ.ს ინტერესების სასარგებლოდ. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატმა თანხის ნაწილი - 350 აშშ დოლარი დაუბრუნა, ხოლო დარჩენილი ნაწილის დაბრუნებას უახლოეს მომავალში დაჰპირდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 18 იანვარს ადვოკატი კ. პ. გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, სადაც განმარტა, რომ საჩივრის ავტორს შეუთანხმდა მისი ინტერესების დაცვაზე, რისთვისაც ჰონორარის სახით მიიღო 1000 აშშ დოლარი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას წარმოეშვა გარკვეული სირთულეები, რის გამოც ვერ შეძლო საქმეზე შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, ხოლო საჩივრის ავტორთან კომუნიკაცია იყო საკმაოდ რთული, ვინაიდან ის იმყოფებოდა საზღვრგარეთ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან ა. შ.-ს წინაშე აიღო ვალდებულებები, რაც ვერ შეასრულა, რის გამოც საჩივრის ავტორს სრულად დაუბრუნა მისთვის გადაცემული თანხა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. შ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ა. შ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2018 წლის 29 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ კ. პ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2019 წლის 24 იანვარს საჩივრის ავტორმა - ა. შ.-მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ ადვოკატმა კ. პ.-მ სრულად დაუბრუნა მისთვის გადაცემული 1000 აშშ დოლარი

და საბუთები, შესაბამისად მის მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით ადვოკატ კ. პ.-ს მიმართ აღარ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ კ. პ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №150/18 ადვოკატ კ. პ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/